სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი
ხელშეკრულება №

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ქ. თბილისი _____2022 წელი

ერთის მხრივ, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ---------- სახით და, მეორეს მხრივ, _____ (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის _____სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის და პრეტენდენტის (_____) სატენდერო წინადადების საფუძველზე, ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე (NAT000000000) ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი“ - ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. „ტექნიკური დავალება“ - ტექნიკური დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, „ფასების ცხრილი“ - დანართი 1, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. სტანდარტები

2.1. სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურებები უნდა აკმაყოფილებდეს სატენდერო დოკუმენტაციითა და ტექნიკური დავალებით შემსყიდველის მიერ წაყენებულ მოთხოვნებს, მომსახურება შესრულებული უნდა იყოს შეუფერხებლად.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“-ს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების დაფინანსების ფარგლებში თსუ-სთვის სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურებების CPV:79340000 შესყიდვა.

3.2. შესყიდვის ობიექტის აღწერილობა და მოცულობა იხ. ტენდერში პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დანართი №1 (ფასების ცხრილი), რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს _____(_____) ლარს.

4.2. მოსაწოდებელი საქონლის ერთეულისა და საერთო ფასი განისაზღვრება ტენდერში მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის - „ფასების ცხრილი“ - დანართი N1-ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი - ნანა მამაგულიშვილი.

5.2. ინსპექტირება გულისხმობს შესაბამისობის დადგენას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან, ხელშეკრულების პირობების შესრულებას, მიწოდებისთვის აუცილებელი პირობებისა და ნორმების დაცვას.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით (ტრანსპორტირების ჩათვლით) უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა ნაკლის აღმოფხვრა , წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

6. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში ეტაპობრივად, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

6.2. ანგარიშსწორება „შემსყიდველსა“ და „მიმწოდებელს“ შორის განხორციელდება მიღება- ჩაბარების აქტის, შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის და/ან სასაქონლო ზედნადების, ინსპექტირების დადებითი დასკვნის საფუძველზე, დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

7. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა, ადგილი და პირობები

7.1. მომსახურების გაწევა მოხდება სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალების მოთხოვნების შესაბამისად საჭირო მისამართებზე.

7.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ყოველდღიურ რეჟიმში, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

7.3. ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს მიწოდების გრაფიკში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

8.1. მომსახურების მიღება–ჩაბარება განხორციელდება ყოველთვიურად, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულების 5.1. პუნქტით განსაზღვრული პირ(ებ)ის მიერ შედგენილი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე მხარეთა შორის გაფორმებული მიღება–ჩაბარების შუალედური აქტით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის

9.1. ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „შემსყიდველი“ უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 0.02%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, „შემსყიდველი“ იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს „მიმწოდებელს“ ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. ხელშეკრულების ღირებულების გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს „შემსყიდველს“ პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 0.02%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

9.4. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, „მიმწოდებელი“ იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს „შემსყიდველს“ ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.5. მხარეებს უფლება აქვთ მოითხოვონ ხელშეკრულების შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.6. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის, შეცვლა დაუშვებელია.

10.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებასმოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.4. 10.3. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით, ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

11. დაუძლეველი ძალა

11.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ განთავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების დადების თარიღიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

14. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი _____ მიმწოდებელი _____